სოფიაში საპატრიარქო მეტოქიონის წინამძღვარმა დოროსტოლის სამიტროპოლიტოს აღდგენის 20 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა

2021 წლის 10 ოქტომბერს სოფიაში საპატრიარქო მეტოქიონის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ვასიანემ (ზმეევი) დოროსტოლის მიტროპოლიტის იაკობის მიწვევით, დოროსტოლის სამიტროპოლიტოს აღდგენის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მიიღო მონაწილეობა. საღმრთო ლიტურგიას დოროსტოლის მიტროპოლიტი იაკობი უძღვებოდა, რომელსაც თანამსახურებდნენ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქი ბელოცერკოვისა და ბოგუსლავის მიტროპოლიტი ავგუსტინე, სტაროზაგორსკის მიტროპოლიტი კვიპრიანე, ვრაჩანის მიტროპოლიტი გრიგოლი, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქი ტულჩინის ეპისკოპოსი ბესარიონი, ტროიანისა და ბაჩკოვოს მონასტრების წინამძღვარი ველიჩის ეპისკოპოსი სიონი, რილის მონასტრის იღუმენი ადრიანოპოლის ეპისკოპოსი ევლოგი, სლივენის სამიტროპოლიტოს ვიკარიული იერარქი აგატოპოლის ეპისკოპოსი იეროთეოზი.

სასულიერო პირებს წარმოადგენდნენ დოროსტოლის სამიტროპოლიტოს პროტოსინგელოზი პროტოპრესვიტერი დობრი (ჩაკოვი), სოფიის სამტროპოლიტოს პროტოსინგელოზი არქიმანდრიტი

ბასილი (სავოვი), საპატრიარქო მეტოქიონის წინამძღვარი არქიმანდრიტი ვასიანე (ზმეევი), დოროსტოლის სამიტროპოლიტოს კლირიკოსები.

ლიტურგიის დასასრულს სოფიის სამიტროპოლიტოს პროტოსინგელოზმა არქიმანდრიტმა ბასილიმ (სავოვი), ბულგარეთის უწმინდესი პატრიარქის ნეოფიტეს მისასალმებელი სიტყვა წაიკითხა დოროსტოლის სამიტროპოლიტის აღდგენის მე-20 წლისთავთან დაკავშირებით.

ბელოცერკოვისა და ბოგუსლავის მიტროპოლიტმა ავგუსტინემ დოროსტოლის მიტროპოლიტ იაკობს დოროსტოლის ეპარქიის აღდგენის 20 წლის იუბილე მიულოცა და რუდოსელსკაიას ხატის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა – ბელოცერკოვის ეპარქიის აღმნიშვნელი ნიშნით, და ასევე მეუფე იაკობს საჩუქრად გადასცა ღვთისმშობლის პოჩაევის ხატის ასლი და XIV საუკუნის ლუცკის სახარების ფაქსიმილური გამოცემა.

დასასრულ, იერარქებმა და სასულიერო პირებმა გარდაცვლილი დოროსტოლელი მიტროპოლიტების ილარიონისა და ამბროსისთვის მიცვალებულთა ლიტია შეასრულეს.

შემდეგ დოროსტოლის მიტროპოლიტმა იაკობმა ოფიციალური სადღესასწაულო მიღება გამართა, რომელსაც მიწვეული იერარქები, საერო ხელისუფლების წარმომადგენლები და უამრავი სტუმარი ესწრებოდა. დოროსტოლის ეპარქიის აღორძინების 20 წლისთავის სამახსოვროდ, დოროსტოლის მიტროპოლიტმა იაკობმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელს, არქიმანდრიტ ვასიანეს გამშვენებული სამღვდელო ჯვარი აჩუქა.

სოფიის საპატრირქო მეტოქიონის საიტი/

სსკგ-ს კომუნიკაციის სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88227/